განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

წინამდებარე კანონპროექტის მომზადების საფუძველი გახლავთ შემდეგი: „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის რეჟიმისა და ნაოსნობის წესების დადგენის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 13 თებერვლის N78 დადგენილების შესაბამისად, ყველა გემი ვალდებულია აკმაყოფილებდეს ზემოაღნიშნული დადგენილების პირობებს და მოძრაობა განახორციელოს დადგენილი წესის შესაბამისად. გემების, მიერ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წესების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ სანავსადგურე წყლებში, მოძრაობის გამყოფი სისტემაში და სპეციალურ დერეფნებში გემების მოძრაობისა და დგომის წესების დარღვევის შემთხვევაში დადგინდება ჯარიმები.
2018 წლის 31 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის N685 დადგენილება „საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემებისა და საქართველოს ნავსადგურების უშიშროების წესის" დამტკიცების შესახებ. დადგენილება მომზადდა „გემებისა და ნავსადგურების უშიშროების შესახებ" საერთაშორისო კოდექსის (ISPS Code) ასევე, 2004 წლის 31 მარტის ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) №725/2004 რეგულაციისა „გემებისა და ნავსადგურების მოწყობილობების უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე" და 2005 წლის 26 ოქტომბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2005/65/EC დირექტივის ნავსადგურების უსაფრთხოების გაძლიერების თაობაზე" საფუძველზე. ზემოაღნიშნული დადგენილება სრულად პასუხობს დღეს მოქმედ საერთაშორისო მოთხოვნებს გემებისა და საქართველოს ნავსადგურებში უშიშროებაზე. ზემოაღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევისთვის გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა წინამდებარე კანონის პროექტი, სადაც საქართველოს ნავსადგურებისა და გემების მიერ, აგრეთვე, სანავსადგურე ობიექტის მიერ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული უშიშროების წესების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნება ჯარიმების ოდენობა.
2017 წლის 27 დეკემბერს მიღებულ იქნა საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის N04 ბრძანება „გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების" დამტკიცების შესახებ", რომელიც ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ბრძანებით დადგენილი წესების დარღვევისთვის. აღნიშნულის გათვალისწინებით მომზადდა წინამდებარე კანონის პროექტი.

ასევე, პროექტი ითვალისწინებს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, ნავსადგურის კომპლექსური შემოწმების დროს გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმების დაწესებას. ესეთი შეუსაბამობები მოიცავს: ნავსადგურის მიერ ნავსადგურისტერიტორიაზე სამუშაოთა ორგანიზების, სწავლებისა და ინსტრუქტაჟის წესების დარღვევა, ნავსადგურისმიერ ნავსადგურის ტერიტორიის ან/და აკვატორიის სანიტარიული პირობების დაუცველობას.

საქართველოს საზღვაო კოდექსის შესაბამისად, გემის ინსპექტირება და შემოწმება ხორციელდება საერთაშორისო ხელშეკრულებების, საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციისა და საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის აქტების, სტანდარტების, რეზოლუციებისა და რეკომენდაციების საფუძველზე. გემების ინსპექტირებასა და შემოწმებას საქართველოს საზღვაო კოდექსის შესაბამისად ახორციელებს აღიარებული ორგანიზაცია, რომელსაც უფლებამოსილების დელეგირებას უკეთებს სსიპ -

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო. ვინაიდან, არსებობს იმის რისკი, რომ აღიარებული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ინსპექტირება და შესაბამისად გაცემული სერტიფიკატი, შესაძლოა არ შეესაბამებოდეს რეალობას და აღნიშნულით ზიანი მიადგეს გემის, ნავსადგურის და ადამიანის უსაფრთხოებას, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქართველოში მოქმედი, სააგენტოს მიერ აღიარებული საკლასიფიკაციო საზოგადოებებისთვის დაწესდეს სანქციები. აღნიშნულის გათვალისწინებით, შიდა ნაოსნობაში ჩართული საქართველოს გემების ინსპექტირებისა და შემოწმების განმახორციელებელი აღიარებული ორგანიზაციის მიერ უფლებამოსილების და ფუნქციონირების წესების დარღვევა გამოიწვევს აღიარებული ორგანიზაციის დაჯარიმებას.

საქართველო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ, „საქართველოს საზღვაო კოდექსი“ და სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „ნავსადგურის წესები“ ადგენს საზღვაო უსაფრთხოებისა და უშიშროების წესებს და აწესებს ვალდებულებებს, როგორც ნავსადგურებისთვის, ასევე გემებისვის, გემთმფლობელებისთვის და იმ იურიდიული პირებისთვის, რომელიც ასრულებენ საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირებულ საქმიანობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული პირებისთვის დაწესდება ჯარიმები საზღვაო უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის, ნავსადგურში დატვირთვის, გადმოტვირთვისა და ტვირთის დაწყობის წესების დარღვევისთვის და ნავსადგურის მიერ საზღვაო უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევისთვის. წარმოდგენილი კანონპროექტით, დაწესდება ჯარიმები იახტკლუბისთვის, ვინაიდან, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის ბრძანების „ნავსადგურის წესების“ შესაბამისად, დადგენილია მოთხოვნები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა. სალოცმანო სამსახურების და ლოცმანების საქმიანობაზე ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო. მოთხოვნები სალოცმანო სამსახურებისთვის დადგენილია საქართველოს მთავრობის დადგენილებით. დადგენილებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის საჭიროა დაწესდეს ჯარიმები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

კანონპროექტის მიღების მიზანია, საზღვაო სფეროში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სანქციების გამკაცრება, ასევე, იმ სამართალდარღვევების კოდექსში ასახვა, რომლებიც ამ დრომდე განსაზღვრული არ არის.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიზანია ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსში განისაზღვროს ნავსადგურების, გემთმფლობელების პასუხისმგებლობა გემისა და ნავსადგურის უშიშროების, გემების უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების და კომპლექსური შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კოდექსის 112-ე მუხლი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის შესაბამისად, მოხდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით „საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში ნაოსნობის რეჟიმისა და ნაოსნობის წესები“ გათვალისწინებული წესების დარღვევისთის ჯარიმების ასახვა კოდექსში.

წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს, კოდექსის 114-ე მუხლის მოქმედი რედაქციის კანონმდებლობასთან შესაბამისობას და ნავსადგურში დატვირთვის, გადმოტვირთვისა და ტვირთის დაწყობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის დაწესებას.

კოდექსის 114^3 მუხლი ჩამოყალიბდება ახალი რედაქციით, სადაც გათვალისწინებული იქნება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საზღვაო უსაფრთხოებისა და უშიშროების წესების დარღვევისთვის ჯარიმები.

აგრეთვე, კოდექსს ემატება 114^6-114^{16} მუხლები, რომლებითაც ხდება:
მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემისა და საქართველოს ნავსადგურების უშიშროების წესების დარღვევისთვის ჯარიმის დაკისრება; შიდა ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემის ინსპექტირებისა და შემმოწმების განმახორციელებელი აღიარებული ორგანიზაციის მიერ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების და ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ჯარიმების დაკისრება;
სალოცმანო სამსახურებისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმების დაკისრება;
გემის აგენტების მიერ ნავსადგურში შესვლის ან/და ნავსადგურიდან გასვლის გაფომების წესის დარღვევისთვის დაწესდება ჯარიმა;
აგრეთვე, წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, ნავსადგურის კომპლექსური შემოწმების დროს გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმების დაწესებას.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):
ასეთი არ არსებობს.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ვინაიდან, კანონის პირველი მუხლის ამოქმედებამდე (კანონის გამოქვეყნებიდან 45-ე დღე) საჭიროა სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საჯარიმო ქვითრის ფორმის, მისი შევსების, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცება. ხოლო კანონის პირველი მუხლი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 45-ე დღეს, ვინაიდან, მისი ძალაში შესვლა დაკავშირებულია ზემოაღნიშნული წესის დამტკიცებასთან, რაც უზრუნველყოფს კანონის შესაბამის მუხლებთან დაკავშირებული საკითხების ეფექტურ აღსრულებას. ამასთან, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):
ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:
წარმოდგენილი კანონის ცვლილების პროექტით გათვალისწინებული სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ოქმის შედგენის უფლებამოსილება წარმოადგენს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს კომპეტენციას. შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითების დაფინანსების წყაროა სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საკუთარი ბიუჯეტი.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ვინაიდან, დაწესებული ჯარიმები გადაიხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:
წარმოდგენილი კანონის ცვლილების პროექტით გათვალისწინებული სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ოქმის შედგენის უფლებამოსილება წარმოადგენს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს კომპეტენციას. შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითების დაფინანსების წყაროა სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს საკუთარი ბიუჯეტი.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:
კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს ნავსადგურებისთვის, სანავსადგურე ობიექტებისთვის, გემთმფლობელების, მცურავი საშუალების მფლობელისთვის, გემის აგენტებისთვის, აღიარებული ორგანიზაციებისთვის, სალოცმანო სამსახურებუსთვის, ლოცმანებისთვის, იახტკლუბისთვისდა გემთფლობელებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების დარღვევის შემთხვევაში.
ასევე, წარმოდგენილი კანონპროექტის 112-ე მუხლის შესაბამისად, გასწორდა კანონში არსებული ხარვეზი. კერძოდ, გემის ნავსადგურში შესვლისა და ნავსადგურიდან გამოსვლის, სანავსადგურე წყლებში, მოძრაობის გამყოფ სისტემაში, სპეციალურ დერეფანში გემის მოძრაობისა და დგომის წესების, აგრეთვე გემში მგზავრთა ჩასხდომის, მგზავრობის და გემიდან გადმოსხდომის დროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესების დაცვაზე პასუხისმგებელია უშუალოდ გემის კაპიტანი. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის დარღვევის შემთხვევაში განისაზღვრება გემის კაპიტნის პასუხისმგებლობა.

კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს ზღვაში ჩაძირული ქონების მფლობელებისთვის, ვინაიდან, ქონების მფლობელი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ამოიღოს ზღვაში ჩაძირული ქონება. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, დადგენილ ვადაში ამოუღებლობის შემთხვევაში კი დაწესდება ჯარიმა.
როგორც უკვე აღინიშნა, კანონპროექტის მიღება გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს შესაბამისი პირებისთვის, თავის მხრივ, აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობისთვის გასწიონ დამატებითი ხარჯები (უშიშროების გეგმის შემუშავება, განახლება, დანერგვა, საზღვაო უშიშროებასთან დაკავშირებული სწავლება და წვრთნები, უშიშროების რეგულარული ინსპექტირება, იახტკლუბისთვის ნავსადგურის წესებით გათვალისწინებული მოთხოვნების შემუშავება).

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:
კანონპროექტი არ ეხება ახალი გადასახადის ან მოსაკრებლის შემოღებას და არც მისი არსებული ოდენობის შეცვლას.

ამასთან, წარმოდგენილი კანონპროექტის 112-ე მუხლის შესაბამისად, განისაზღვრება პასუხისმგებლობა მხოლოდ გემის კაპიტანზე. რომელიც განისაზღვრება შემდეგნაირად: გემის კაპიტნის დაჯარიმებას მისი შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.
კანონპროექტის 114-ე მუხლის შესაბამისად, განისაზღვრა ჯარიმის ოდენობა სანავსადგურე ერთეულში დატვირთვის, გადმოტვირთვია, ტვირთის დაწყობის და შენახვის წესების დარღვევისთვის. ჯარიმის ოდენობა, სამართალდარღვევის სიმძიმისა და ხასიათის შესაბამისად განისაზღვრება 5 000 ლარიდან 15 000 ლარამდე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმების სტატისტიკური მონაცემი არ არსებობს, ვინაიდან ამ დრომდე არ ყოფილა ჯარიმა გამოწერილი სამართალდარღვევისთვის.

საზღვაო უსაფრთხოებისა და უშიშროების წესების დარღვევისთვის განისაზღვრა ჯარიმა 10 000 ლარიდან - 15 000 ლარამდე.

სანავსადგურე ერთეულის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საზღვაო უშიშროების წესების დარღვევისთვის განისაზღვრება ჯარიმა 5 000 ლარიდან 20 000 ლარამდე.

სანავსადგურე ობიექტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საზღვაო უშიშროების წესების დარღვევისთვის განისაზღვრება ჯარიმა 2 500 ლარიდან 10000 ლარამდე.

გემის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საზღვაო უსაფრთხოებისა და უშიშროების წესების დარღვევისთვის განისაზღვრება ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით.

გემის უსაფრთხო მართვისა და დაბინძურების თავიდან აცილების წესების დარღვევისთვის განისაზღვრება ჯარიმა 5 000 ლარიდან 10 000 ლარამდე.

სანავსადგურე ერთეულის მიერ სანავსადგურე ერთეულის ტერიტორიაზე სამუშაოთა ორგანიზების, სწავლებისა და ინსტრუქტაჟის წესების დარღვევისთვის განისაზღვრება ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით.

სანავსადგურე ერთეულის მიერ სანავსადგურე ერთეულის ტერიტორიის ან/და აკვატორიის სანიტარულ-საყოფაცხოვრებო პირობების დაუცველობისთვის განისაზღვრება ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით.

შიდა ნაოსნობაში ჩართული საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი გემის ინსპექტირებისა და შემოწმების განმახორციელებელი აღიარებული ორგანიზაციის მიერ უფლებამოსილების და ფუნქციონირების წესის დარღვევისთვის განისაზღვრება ჯარიმა 20 000 ლარიდან 25 000 ლარამდე ოდენობით.

სალოცმანო სამსახურის საქმიანობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის განისაზღვრება ჯარიმა 500 ლარიდან 10 000 ლარამდე ოდენობით.

გემის აგენტის მიერ გემის სანავსადგურე ერთეულში შესვლის ან/და სანავსადგურე ერთეულიდან გასვლის გაფორმების წესის დარღვევისთვის განისაზღვრება ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

სანავსადგურე ერთეულის/ტერმინალის მიერ საზღვაო უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევისთვის განისაზღვრება ჯარიმა 1 000 ლარის ოდენობით 15 000 ლარამდე ოდენობით.

იახტკლუბის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევისთვის განისაზღვრება ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით.

ამასთან, კანონპროექტის შესაბამისად, შესაბამისი პირები დაჯარიმდებიან იგივე ქმედებების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:
კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. აგრეთვე, კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:
ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:
ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.